ქსელის მარშრუტიზატორის (როუტერი) და კომუტატორის (სვიჩი) სახელმწიფო შესყიდვისთვის შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის (NAT190011475)

ო ქ მ ი № 2

ქ. თბილისი 12 ივნისი, 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

სატენდერო კომისიის წევრები: მარინე გვრიტიშვილი, თამარ ჩუბინიძე, ზურაბ ქუმსიაშვილი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ანა ომანაძე, ლიკა რაზმაძე.

დღის წესრიგი: სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს'' მიერ ქსელის მარშრუტიზატორის (როუტერი) და კომუტატორის (სვიჩი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში (დამატებითი რაუნდების გარეშე) (NAT190011475) ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის წევრის, ზურაბ ქუმსიაშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას მიმართა: ,,ქსელის მარშრუტიზატორის (როუტერი) და კომუტატორის (სვიჩი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის (დამატებითი რაუნდების გარეშე) (NAT190011475) გამოცხადებისას სატენდერო კომისიის აპარატის მიერ დაშვებულ იქნა მექანიკური შეცდომა, კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტში (სხვა დამატებითი მოთხოვნები) ველში არ იქნა მითითებული აღნიშნული ტენდერისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, შევიდეს ცვლილება სატენდერო დოკმენტაციაში და 2.9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით :

1. ,,პრეტენდენტი უნდა ფლობდეს ქალაქ თბილისში მინიმუმ ერთ სერვის ცენტრს და უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ინფორმაცია მისი ადგილმდებარეობის შესახებ;
2. მიმწოდებელი უნდა იყოს შემოთავაზებული აპარატურის მწარმოებლის სერთიფიცირებული პარტნიორი და უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (ე.წ. MAF –Manufacturer Authorization Form).“

სატენდერო კომისიის წევრის, ზურაბ ქუმსიაშვილის გამოსვლის შემდეგ

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დადასტურებულ იქნეს სატენდერო კომისიის წევრის, ზურაბ ქუმსიაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება სატენდერო დოკუმენტაციაში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით;

2. შეტანილ იქნას ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტში;

3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დარჩეს უცვლელი.

4. ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მარინე გვრიტიშვილი/

კომისიის წევრი: /თამარ ჩუბინიძე/

კომისიის წევრი: /ზურაბ ქუმსიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი: /ანა ომანაძე/

კომისიის აპარატის წევრი: /ლიკა რაზმაძე/